სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ. სათ.-აზნაურთ ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკუთრად ჰქმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 ან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ...
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ
ორიგინალური პიესების რეპერტუარის განსაახლებლად
დანიშნა ამგვარი პიესებისათვის
## სამი პრემია 120, 80 და 50 მანეთი
ხოლო გადმოკეთებული პიესებისათვის 50, 30 და 20 მან.

ამისათვის გამგეობა მოიწვევს ქართველ მწერლებს რათა წარმოადგინონ თავიანთი ნაწარმოები, რომლებიც განხილული იქმნებიან გამგეობისა და მის მიერ მოწვეულის პირების თანადასწრებით და საუკეთესო და სცენისათვის გამოსადეგ პიესებს დაენიშნება ღირსების დაგვარად ზემოხსენებული პრემია.

ავტორებმა პიესები უნდა გამოუგზავნონ გამგეობას არა უგვიანეს 15 ენკენისთვისა პიესები ავტორებისაგან ხელმოუწერელნი უნდა იყვნენ, ხოლო სახელი და გვარი ცალკე დაბეჭდილს კონვერტში უნდა იყოს მოხსენებული და ეს დაბეჭდილი კონვერტი პიესასთან ერთად წარმოდგენილი.

ადრესი გამგეობის: ტფილისის სათავად-აზნაურო ქარვასლა. (12—3)

შაბათს, 10 მკათათვეს, საღამოს 8 საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება, ქართველთა სადებ-მამცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა"

ესკრება გაგრძელებაა, 20 თიბათვეს შემდგარი კრებისა და ამისათვის იგი კანონიერი იქმნება რამდენიც უნდა დაესწროს მას წილის პატრონი.

წევრთ ამხანაგობისა არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

## ექიმი
## გ. ს. გერცენფილდი

ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ღებულობს ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გორგაძე.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოგანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, სისხლის და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

—

*** ქუთაისის ბანკის დამფასებლების არჩევანის გამო. გუშინდელ „ცნობ. ფურც." მკითხველები უეჭველია წაიკითხავდნენ ქუთაისიდან მოწერილ ამბავს—კალისტრატეს ბანკში „ოცენჩიკების" არჩევანს

ჩვენ სრულებით არ გვიკვირს. კალისტრატემ რომ თავის ბანკისათვის თავისივე კაცები არჩიოს „ვინძლაც პუნტოვჩიკების ალ. ინანეიშვილს და დავ. წულუკიძეს... ხელი-ხელს ჰბანსო იტყვიან და კალისტრატემაც თავის ქეიფისა და ზნე-ჩვეულების „ოცენჩიკები" რომ ინდომოს, ვის რად უნდა გაუკვირდეს?..

ჩვენ მხოლოდ ის გვიკვირს, რომ ახლად არჩეულ „ოცენჩიკებთა" შორის გამოერია ერთი ისეთი „ოცენჩიკი" თვით კალისტრატის ავკაცობისა, გამოერია ერთი ისეთი ნიჭიერი დამფასებელი თვით კალისტრატის დევ-გმირობისა—ჩვენ მოგახსენებთ ილია ლუკას ძე ბახტაძეზე (იგივე ცნობილი ხონელი), რომ ქუთაისის ბანკის არჩევნები ტყუილი და ჭორიკანების მოგონილი გვგონია..

ილია ხონელს,—რომლის მადლიანს კალამს არა ერთხელ და ათჯერ დაუსურათხატებია კალისტრატეს „საქმენი საარაკონია" და ვაჟკაცობა „საგმირონი",—ჩვენ უმალ წარმოვიდგენდით ხონურ „პროხვოსტებთა" გუნდში (თვითონ ი. ხონელის სიტყვაა) ვიდრე კალისტრატეს ყურმოჭრილ მონად და ავან-ჩავანად.

მართლაც და საკვირველი და თანაც სატირელი არ არის ასეთი ცვლილება აზრისა, ასეთი გარდაქმნა ადამიანისა, ასეთი ღალატი ძველთა სალოცავთა!?. კაცი ოციოდე წელიწადი იერეხონის ლოროტოტოსავით გაჰკიოდა პირადს დამოუკიდებლობას, საზოგადო იდეალის გამეფებას, პატიოსან შიშმილს, იუდასებურ განცხრომას და მერე ყოველივე ეგ, ვითარცა სიჭაბუკის შეცდომა უკუ აგდოს ფეხით გასთელოს: ეგრედ წოდებული „ხელის ჭუჭყისათვის"?! ნუ თუ ამ ქვეყნად ყოველივე წარმავალი, ვითარცა შარშანდელი თოვლი, ნუ თუ სივაგლახეს და სიწამხდრეს ადამიანისას დასასრული არა აქვს?!.. ეჰ, მახლას!

ჩვენ არ გვინდა ცუდი რამ ვიფიქროთ ი. ხონელზე, ვინაიდგან იგი მსხვერპლია შეცდომისა ანუ შეცდენისა. იქნება ბ-ნი ხონელი გულწრფელად ლამობს თავის თავს „ოცენჩიკობის როლში" საზოგადო მოღვაწედ! . ოღონდაც, კალისტრატეს ბანკის „ოცენჩიკობა" მოღვაწეობაა, მაგრამ სულ სხვა ფერისა და ხასიათის მოღვაწეობაა, ეს მოღვაწეობა ამ ერთი კვირის წინედ თვით ილ. ხონელს სირცხვილად და სამარცხვინოდ მიაჩნდა.

მიტომაც გასაკვირველია და გასაოცარია, თუ როგორ აება თვალები ილ. ხონელს, რომ ვერ შეამჩნია ის წუმპე, რომელშიაც აგრე წინ დახედულად მოიმწყვდია კალისტრატემ. ნუ თუ ილ. ხონელს დაავიწყდა, რომ კალისტრატეს წუმპეში ტალახისა და ჭუჭყის მეტი არაფერია!...

ჩვენ თუ მწარედ ვამბობთ ილ. ხონელის „ოცენჩიკობაზე" ეგ სხვა არაფრით არის გამოწვეული გარდა იმ ტკივილისა, რომელსაც ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს ხოლმე, როცა ხლოსა და საყვარელს ვისმე მარხავს...

*** წარმოდგენების ნება-რთვა. ჩვენ გვეკითხებიან პროვინციებიდან რა დროიდან იქნება წარმოდგენები ნება-დართული. მეფის ცესარევიჩის ალსრულების გამო ტფილისის გუბერნიაში წარმოდგენები აკრძალული იყო სანამ ალსრულებულის გვამს გაასვენებდენ ბათომიდან, ესე იგი 8 მდე; ხოლო ამ თვის 9-დან წარმოდგენების მართვა ნება დართულია.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრნი ბ-ნი ვ. ყიფიანი და ვ. ქურული გამგზავრებულან ზემო ქართლში იმ მამულების შესამოწმებლად, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანებში დასეტყვილი იქმნა და ავდრებისაგან დაზარალდა როგორც ამბობენ დაზარალებულ მამულების პატრონთ შესაფერი შეღავათი მიეცემათ

***** ასოთ ამწყობთა თანხა.** 7 ივლისს „ახ. მიმ.“-ის რედაქციაში ადგილობრივის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა მოლაპარაკება ჰქონდათ ტფილისის ასოთ-ამწყობთათვის საურთიერთო დამხმარებელ კასის დაარსების შესახებ. კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც მიენდო შეჰკრიბოს ცნობები რუსეთში არსებულ ბეჭდვის საქმის მუშაკების დამხმარებელ საზოგადოებათა და კასების შესახებ და შეადგინოს ტფილისის ასოთ ამწყობთა საურთიერთო დამხმარებელ კასის წესდების პროექტი. ეს პროექტი უნდა მზად იყოს სექტემბრისათვის, როცა მოწვეულ იქმნება ჟურნალ გაზეთების წარმომადგენელთა, ტფილისის სტამბების და ლიტოგრაფიებისა მეპატრონეთა და ასოთ-ამწყობების წარმომადგენელთა კრება წესდების საბოლოოდ შესამუშავებლად, რომელსაც მაშინვე მიეცემა კანონიერი მსვლელობა. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ა. ი. კუზმინი, ა. ა. კალანთარი, გ. მ. ლასხიშვილი, კ. ი. მარტიროსიანცი და ნ. ჟორდანია.

***** საშინელი სეტყვა ქართლში.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ თვის ექვსს საშინელი სეტყვა ყოფილა გორის მაზრის შემდეგ სოფლებში: ჩორჩანა, ბალთა, ქალეთი-გვირგვინა, ფათქინცი, ლამისა და ტატფინის წყაროზე და საშინლად გააფუჭა თურმე ქირნახულები, რაც გადარჩა წინანდელ ნაილვრებს და ასე ამ გვარად ფრონის ხეობას მოელის საშინელი შიმშილი! ვისაც ყური აქვთ ისმინონ.

***** პურის სალეწი მანქანის დაქარვება გლეხებისაგან.** ს. მუხათში (ტფ. მაზ.) გუშინ წაიღეს კრაუზესაგან ქირით პურის სალეწი მანქანა. როგორც გავიგეთ, აქედან სხვა ახლო-მახლო სოფლებშიაც წაიღებენ.

***** სანოვაგეთა მოვაჭრეთა საყურადღებოდ.** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა უბრძანა პოლიციის ბოქაულთ: ძლიერის სიცხეების დაჭერის გამო ყოველ-დღე შეამოწმეთ ხოლმე საჭმელების სიავ-კარგე დუქნებსა, ტრაქტირებსა, ლუდხანებსა და სასტუმროებშიო. ამასთან პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრ. საჭიროდა სცნობს, რომ 1) დუქნებსა, ტრაქტირებსა, ლუდხანებსა და სასტუმროებში სტოლებსა და დახლებს გადაკრული ჰქონდეს თუნუქი, 2) სტოლები, სკამები, დახლები და კედლები იატაკიდგან ორის არშინის სიმაღლეზედ შეღებილი იყოს, 3) საყასბოებში ჰქონდეთ თუნუქით გადაკრული გრძელი ყუთები ხორციდგან ჩამონადენ სისხლის ჩასაღვრელად და ხორცზედ ყოველთვის დაფარებული ჰქონდეთ ტილო ბუზებისა და მტვრის ასაშორებლად; 4) ხილი, პური და სხვა ასეთი სანოვაგე დახურული იყოს თხელის ნარმით და მავთულის ბადით, 5) ვაჭრებს და მედახლეებ ყოველთვის სუფთა წინსაფარი ჰქონდეთ აფარებული და 6) ხორცი და თევზეულობა დილის ვაჭრობის შემდეგ 11 საათიდგან სარდაფებში ინახებოდეს.

***** რკინისგზისათვის საჭირო მიწების ფასი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზისა და მის შტოებზედ მუშაობის საწარმოებლად რკინის გზისათვის საჭირო შეიქმნა 76 დესეტინა და 95 ოთხკ. საჟენი ადგილი შემდეგს მაზრებში: ახალსენაკისა, ქ̃ისისა, შორაპნისა, გორისა, დუშეთისა, განჯისა და ჯებრაილისა და აგრეთვე ბათუმის ოლქში. ამის გამო უმაღლესად ნაბრძანებია: 1) ჩამოერთვათ მეპატრონეთ აღნიშნული ადგილები რკინის გზის სასარგებლოდ, 2) მეპატრონენი დაჯილდოვებულ იქმნან ადგილების ჩამორთმევის შესახებ კანონების ძალით და 3) რკინის გზაზე მუშაობის დასაჩქარებლად დაისაკუთროს გზამ ხსენებული ადგილები მათის აწერისათანავე...

***** გამოცდა კურსებისა გალობაში.** ამ თვის ხუთში გათავდა წლევანდელი საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში და ექვსში მოხდა გამოცდა გალობაში კურსელებისა. ამ დღეს გამოცდა დაიწყო $8^1/_2$ საათზე და გათავდა $2^1/_2$ ნაშუადღევს.

რადგან საქართველოს ეგზარხოსი და სემინარიის რექტორი აქ არა ბრძანდებოდნენ მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო, ამისათვის გამომცდელი კომისია შესდგებოდა ეპარქიალურ სამოსწავლო საბჭოს წევრებისაგან და გალობის მასწავლებლებისაგან ბ. ნ. გ. ტატიშვილის თავმჯდომარეობით. გამოსცადეს 50-მდე მასწავლებელი (კურსელი) და ამათგან მიიღო ლოტბარობის მოწმობა ხუთმა კაცმა: რუსულს და ქართულს გალობაში ბ. ონ. ჭიკაძემ, მარტო რუსულში ბ-ნთ შჩეპოტიევმა და მაზმანოვმა; ქართულში ბ. ნებიერიძემ და იმერულში ბ. ანთაძემ, ხოლო ერთ ხმაზე გალობის მცოდნის მოწმობა მიეცათ 26 კაცს.

გამოცდის შემდეგ სემინარიის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომელზედაც სემინარიის მოძღვარმა მ. ლაბაძემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, მერე ნ. გ. ბ. ტატიევმა წაიკითხა დეპეშა აბასთუმნიდგან მ. რექტორისაგან, რომლითაც ულოცავდათ კურსელებს კურსების გათავებას და ჰმადლობდათ მათ გულ-მოდგინედ მეცადინეობისათვის ამ კურსებზედ და მასისავე განკარგულებით თითო პატარა ხატი დაასაჩუქრეს კურსელი მასწავლებელნი.

შემდეგ საერთო სადილის ბილეთები დაურიგდათ და წავიდ-წამოვიდნენ.

ონისიმე.

***** დ. აბასთუმანი.** ავდრებია. ეს ერთი თვე გადის მშვენიერი ამინდები იყო; ექვსს ივლისს $3^1/_2$ საათზე ამოვარდა გრიგალი, დაიწყო ქუხილი, მოვიდა ძრიელი წვიმა და კოხი. თითქმის თითო მარცვალი ერთი ქათმის კვერცხის ტოლა იქნებოდა; განაგრძო აგრე თხუთმეტი მინუტი, ყველა მცენარეები გააოხრა. ამბობენ, რომ ამისთანა კოხს ჯერ არავინ მოსწრებიაო.

ს. პ. კამი.

***** თელავი დაქვეითება და უკან ჩამორჩენა.** არა მგონია საქართველოში ან სხვაგან სადმე ისეთი თავ მინებებული და ყურდაგდებული ქალაქი იყოს, როგორც კახეთის ერთად ერთი ქა-

## ქართული რეპერტუარის გაუმჯობესობის შესახებ.

(დასასრული *)

ამ ხუთიოდე წლის წინად, როცა ჯერ ისევ გამგეობას თავმჯდომარედ ბ. გ. თუმანიშვილი იყო, მეც დავწერე ერთი პიესა სახელდობრ: „სიკვდილი და სიცოცხლე“ (იხ. „მოამბე“ 1898 წ. № V და VI) და წერილით შევეკითხე უკანასკნელს, იკისრებთ თუ არა ჩემის პიესის განხილვას და ღირსებათა და ნაკლულევანებათა ჩვენებას-მეთქი პასუხად მივიღე, რასაკვირველია, ეგ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მოვალეობაა, მაგრამ მალე ძველი გამგეობა უნდა გამოიცვალოს და როცა ახალი შესდგეს, იმას გამოუგზავნეთო. მეც მოვიცადე და როცა ახალი გამგეობა შესდგა, გავუგზავნე მდივანს გამგეობისას, ბ. ი. მაქავარიანს და ვსთხოვე განეხილათ ჩემი პიესა თავისი შენიშვნებით უკანვე გამოეგზავნათ, თუ შესწორებას საჭიროდ დაინახავდნენ, ან გადაეცათ წარმოსადგენად, თუ იცნობდნენ წარმოდგენის ღირსად, ან სულ უარი ეთქვათ არ ვარგაო; ერთი სიტყვით გადაეწყვიტათ პიესის ბედი. ეს იყო ზაფხულზე. გავიდა შემოდგომა, ზამთარი და არავითარი პასუხი არ მიმიღია, თუმცა რამოდენიმეჯერ წერილითაც შევეკითხე ამაზე, როგორც მახსოვს. შემდეგ გაზაფხულზე მე თვითონ მომიხდა ჩასვლა ტფილისში და ვსთხოვე ბ. მაქავარიანს, ეცნობებინა ჩემი პიესის ბედ-იღბალი. მითხრა, ამ სეზონში ვერ წარმოვადგენთო, თითქო პიესა განეხილოთ კიდეც და მხოლოდ შემთხვევით ვერ წარმოედგინოთ. შემდეგში წარმოადგენთ-მეთქი, ვკითხე... არ ვიციო, მიპასუხა. მაშ დამიბრუნეთ ჩემი პიესა-მეთქი, და ვსთხოვე და იმანაც ისეთის სიამოვნებით მომცა მაშინვე, თითქო რაღაც დიდი ტვირთი მოიხსნა ზურგიდანო. მეც გამოვართვი პიესა და წასვლის დროს ვკითხე ვინ გაარჩია პიესა, რომ იმას მოველაპარაკო მის ნაკლულევანებათა შესახებ-მეთქი. ბ.ბ. კ. მესხმა და ვ. ალექსი-მესხიშვილმაო, მოპასუხა. მეორე დღეს ვნახე ბ. კ. მესხი და ვკითხე, წაიკითხეთ ჩემი პიესა-მეთქი? წავიკითხეო, მიპასუხა. მერე რას მეტყვით როგორია-მეთქი?—ჩინებული რამ არის, როგორც სალიტერატურო ნაწარმოები, მაგრამ წარმოდგენა მისი კი არ შეიძლება, რადგან სრულიად არ არის მასში მოქმედება, ურომლისოდაც პიესა სცენაზე არ დაიდგმისო. მე მინდოდა უფრო დაწვრილებით გამომეკითხა კიდევ, მაგრამ იმ საზოგადო ფრაზების მეტი ვერა დავსტყუე-რა და, უნდა გამოვტყდე, ცოტა ეჭვიც კი შემეპარა, ეგებ არც კი წაუკითხავს პიესა და ისე თვალებს მიბამს მეთქი, მაგრამ რაღას ვიზამდი? შემდეგ ვნახე ბ. ალექსი-მესხიშვილი და ამან კი პირდაპირ მითხრა, თქვენი პიესა თვალითაც არ მინახავსო. როგორ მოგწონთ ეს ამბავი, ვინ ამბობს, იქნება მართლა არ ვარგა ჩემი პიესა წარმოსადგენად, რადგან ის რაღაც მოქმედება არ არის შიგ, მაგრამ საქმე ის არის, გაარჩიეს იგი ღირსეულად? მითხრეს, რა ნაკლულევანებები აქვს, რომ შემდეგში ვცდილიყავი უკანასკნელთა თავიდან აცილებას? არა, და მე დღესაც არ ვიცი ესენი. არ ვიცი აგრეთვე მეორე ჩემ პიესის: „გაქსუებული“ ს („მოამბე“ 1899 წ. № I) ნაკლულევანებანი; მართლა არ ვარგა ის, თუ არა უშავს-რა წარმოსადგენად? დ თუ არ ვარგა რატომ? შეიძლებ ავიცილო თავიდან ის ნაკლულ ვანებანი, რომელნიც აქვს ჩ პიესებს, თუ არ შეიძლება, და ა ტომ არც იმედი უნდა მქონდე რომ როდისმე ვნახავ მათ სც

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 863.

ლაქი თელავია. ამ ქალაქში 12,000 მეტი მცხოვრებელი სცხცვრობს, ქართველი, სომეხი და რუსი. პატარ-პატარა სოფლებს აქვთ საკვირაო სკოლა. სახალხო კითხვები, უფასო ბილიოთეკა (ფასიანიც ვერ შეუნახავთ) იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენები და სხვა-დასხვა საქველ-მოქმედო სახალხო დაწესებულება, მაგრამ თელაველები ამაებს სიზმარშიაც ვერა ნახავენ, არა თუ ცხადათ. უქმე დღეებში ხელოსანთა ნოქრები და შეგირდები სხედან დუქნებში და კითხულობენ პატარ-პატარა წიგნებს ვინც იცის კითხვა და ვინც არა ისინი კიდევ ყურს უგდებენ. რა მშვენიერი სანახავია, როცა პატარა ბიჭები მოზრდილს შემოჰსხდომიან, რომელიც ჩათვლით უკითხავს რომელიმე პატარა წიგნს და ისინი კიდევ სულ განაბულები ყურს უგდებენ. კვირა და უქმე დღეებში როცა დუქნები დაკეტილი აქვთ მთელი თელავის ხელოსნობა და მათი ნოქრები მთვრალები არიან და თან ქალალდს ან ჯანავარდს თამაშობენ და თან უწმაწურათ ილანძღებიან. პატარანი კი იმათთან არიან და სწავლობენ იმათ ყოფა-ქცევას. რაღა თქმა უნდა დიდ სარგებლობას მოუტანს ამათ საკვირაო სკოლა, სახალხო კით[ხ]ვები და სახალხო წარმოდგენებ[ი]; ამას გარდა ვინც წერა-კითხვა არ იციან მრავალნი ისწავლიან წერა-კითხვას, გაერთობიან და გადაეჩვევნიან კიდეც ასეთ ცუდს ქცევას. სახალხო კითხვები რომ ეღირსოს თელავს, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ ასობით ალმოჩნდება მსურველი, ნამეტნავად მუშა ხალხი, ყველა ეს თელაველებისათვის ოცნებას წარმოადგდგენს და საქმით კი არ განხორციელდება, რადგანაც ამას უნდა კარგი მოთავე და ამას კი თელავი მოკლებულია. თელავში ხუთი სასწავლებელია და ამ სასწავლებლებში 30-თი მეტი მასწავლებლები იქნებიან; და სხვა კიდევ ისეთი ინტელიგენცია რომ თუ ამათ ერთი მოთავე ეყოლებათ და ერთმანეთში თანხმობა ექმნებათ, ამათ არაფერი არ გაუჭირდებათ და თუ მოინდომეს მალეც განახორციელებენ თავიანთ განზრახვას, მაგრამ მახლას! რას იზამ? იმ ერთი სომეხისა არ იყოს. რით არის თელავი დაწინაურებული რომ ამ მხრივ იყოს.

*** **ს. შაშიანი** (კახეთი) **მოუსავლობა და ჩვენი ჭირ-ვარამი.** არ იქნა და არა, ამ სოფელს ერთი კარგი მოსავალი არ ეღირსა, რომ სოფლის მცხოვრებნი ცოტა მაინც წამოწეულიყვნენ და მათი ცხოვრება გაუმჯობესებულიყო. ყოველ წელს რომელიმე წლის მოსავალი აკლდებათ ხან დაესეტყვებათ, ხან ყანები გაფუჭდება და ხან სიმინდი. წელს ჯერ ისევ გაზაფხულზე დაიწყო მუდმივი ავდრები რამაც აზარალა ყანები. იმ დრომდე იავდრა ვიდრემდის თავთავს გაიკეთებდა და ამისათვის სულ აბალახა, როცა თავთავის გაკეთების დრო იყო და როცა უჭირდა წვიმა მაშინ კი გოლვა დაიწყო და კარგი თავთავი ვერ გაიკეთა, რასაც კარგი მოსავალი ვერ მოჰყვა. თითო კალოს სხვა უიმისოთ როცა კარგი მოსავალი ყოფილა აღიოდა 2—4 კოდი (6—12 ფუთი) და ეხლა კი თითო კალოს 1—2 კოდი (3—6 ფუთი) ძლივს ადის. ბევრი გლეხი კაცი იძახის, აბა რა ვქნა ღვთის ბრძანებას წინ როგორ გადუდგე, თორემ რაც მომკაში, მოტანაში და გალეწაში მუშა და ფული მოუნდება, იმდენი ვერც კი გამოვა რომ ერთი სამათ მაინც ავიღოვო. მუშა წინედ როცა კარგი მოსავალი იყო მკის დროს გახდებოდა ხოლმე 1 მ.—1 მ. 50 კაპ. ეხლა კი 60 კ. არ ასცილებია და რადგანაც იმდენი არა ჰქონდათ სამკალი, ამისათვის სხვაგან წავიდნენ სამუშაოდ. ვენახები კი რომლებიც გადარჩა სეტყვისაგან კარგათ არის, ხოლო ეხლა მკათათვის პირველ რიცხვებში ნაცარი აუჩნდა მწვანეს და რქა-წითელს, ხოლო საფერავს კი ჯერ-ჯერობით არ ეტყობა. თუმცა ყველას აქვს გოგირდის შესაბერი საბერველი, მაგრამ, როგორც ამბობენ, რამდენჯერმე ვცადეთ და ვერაფერი არგოვო, მხოლოდ ეხლა რომ შევაყაროთ, ძალიან ცხელა და ამისათვის ვაი თუ ამ სიცხე პაპანაქებაში ყურძენი დასწოსო. წელს ამ სოფელში ვენახები ორთა შუათ არის და თუ ღმერთმა ცა და ღრუბელი დაუმშვიდა და კიდევ სხვა რომელიმე სენი არ გაუჩნდა, მოსავალიც ორთა-შუა იქნება. მართალია პურის მოსავალი მცირეა, მაგრამ თუ ამინდმა ხელი შეუწყო და ამ მოკლე ხანში გაავდარდა, ისეთი სიმინდის მოსავალი მოვა, რომ პურის მოუსავლობას სულ დაჰფარავს; ხოლო თუ ისევ ისეთი სიცხე პაპანაქება დაიჭირა ვეღარც სიმინდი მოვა და სოფლელთ ძალიან გაუჭირდებათ ცხოვრება.

გლეხი კაცის ოჯახმა რა დაინახა, რომ ყოველ წლივ ხან ერთი მოსავალი აკლდებათ და ხან მეორე, ამიტომ ის მასა ცდილობს, რომ როგორმე კიდევ სხვა ცხოვრების წყარო აღმოუჩინოს თავის ოჯახს ამ ცხოვრების წყაროს შეადგენს აბრეშუმის მოყვანა. წელს ამ სოფელში იშვიათი სახლი იქნებოდა, რომ აბრეშუმის ჭიით სავსე არა ყოფილიყო. ყველას ბლომათ შეეძინათ ზაქ. ზოკებისაგან თესლი ზოგს ფულით და ზოგს სანასამღლოთ და სანათხედოთ და ის კი დაჰვიწყებოდათ, რომ ამოდენა ჭიას ფურცელი უნდაო. აბრეშუმის ჭია მესამედი რომ ამოვიდა ქერქში, ყველას შემოაკლდა ფურცელი და ამისათვის სიძვირე ჩამოვარდა. თითო ძირი ფურცელი იყიდებოდა 1 – 3 მან. და ისიც შოვნა არ იყო და მცხოვრებნი 10 ვერსის მანძილიდამ მოეზიდებოდნენ. როგორც იყო ჭიამ გააკეთა პარკი; ზოგმა ვისაც კარგი მოვლა და ჭამა ჰქონდა კარგი და მსხვილი პარკი გააკეთა, ზოგმა კი უჭმელობის და მოუვლელობის გამო წვრილი პარკი. ჭია ცახზე ავიდა თუ არა, მაშინვე გაინდნენ ზაქ. ზოკები და დაიწყეს დათესილების მკა და ყიდვა პარკისა. რადგანაც ზოკებს პირი ჰქონდათ შეკრული, 10 მ. მეტს არ იძლევოდნენ და გლეხებს კიდევ ეშინოდათ პეპელათ არ გადაიქცესო, ამისათვის 10 — 13 მ მეტათ არ გაყიდულა. წელს ვერაფერი ჭიაობა ჰქონდათ და ვერც ისარგებლეს: ვინც 13 მან. გაყიდა კიდევ არაფერი, მხოლოთ ვინც 10 მ. და ნაკლებაც გაყიდა ის კი სინანულით იძახის, რომ ჩემი ფურცელი ისე რომ გამეყიდნა უფრო ბევრს ავიღებდი ვიდრე ეხლაო.

თელაველი.

---

## სამეურნეო ცნობა

### ხეხილების გამრავლება.

(შემდეგი *)

52. კითხვა. რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ გაზაფხულის ნამყენებმა კარგათ იხარონ?

მიგება. გაზაფხულზედ სამ ან ოთხ კვირის წინათ მყნობამდისინ უნდა დაიჭრას სამყნო ტოტები და ჩაიფლას მიწაში ჩრდილოან ადგილას, როდესაც მყნობის დრო მოვა, მაშინ ამოიღეთ მიწიდამ ამყნეთ, ამისთანა ადრე დაჭრილი ტოტები კარგათ გვარობენ ხეირობენ, ვიდრე ახლათ დაჭრილი ყლორტები, რადგანაც ადრე დაჭრილი ყლორტები სარგებლობენ ცოტა წვენით სუსტდებიან, და როცა ვამყნობთ მაშანათვე გაუმაძღრივ უჯიშიდგან მიიზიდამენ ხოლმე წვენს, რის გამო მალე ხეირობენ ხოლმე. ახლათ ე. ი. მყნობის დროს დაჭრილი ტოტები გამაძღრები არიან, წვენს აღარ საჭიროებენ, რის გამო ამისთანა ტოტებით ნამყენები კარგათ ვერ გვარობენ.

53. კითხვა გაზაფხულის ნამყენებს ჭილობს ზემოდგან გლესავენ საგლესით თუ არა?

მიგება. უეჭველად უნდა გაიგლისოს, თორემ შიგ ჩაუვა წვიმა, ან ჰაერი იმუშავებს ან კიდევ მზე შეახმობს და ნამყენი გახმება. კვირტით ნამყენს კი ზემოდგან არ უნდა გაგლესა საგლესით რადგანაც კვირტი შიგ უჯიშის ქერქში არის მოთავსებული, რომელსაც ვერ უდგება ვერც წვიმა, ვერც ჰაერი და ვერც მზე.

54. კითხვა როგორღა უნდა მოვექცეთ ნამყენებს შემდეგში?

მიგება ყლორტებით ნამყენებს ოთხი კვირის შემდეგ უნდა შემოვაცალოთ ჭილობი, მერე უნდა თვალ-ყური დავიჭიროთ; რომ ზაფხულობით ნამყენებს გარეშემო ფესვებიდგან

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № [illegible]

---

ზე? პირადად ჩემთვის ამას მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. იმასაც საკმაოდ ვთვლი, რომ ისინი იბეჭდებიან და მაშასადამე საზოგადოებასაც აქვს საშუალება მათი გაცნობისა, ხოლო საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ დროა მიაქციოს დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება და დაწვრილებით გაარჩიოს ან თვითონ, ან მცოდნე კაცთა შემწეობით ყოველი ახალი პიესა, რომელიც კი მას მოუვა ვისგანმე ან დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და აცნობოს ავტორს, ან კერძოდ, ყოველი ღირსება და ნაკლულევანება პიესისა. ჩემის აზრით, სანამ ეს არ მოხდება, მანამდის არც ჩვენის რეპერტუარის გაუმჯობესობა შეიძლება, რადგან პირველშივე ყოვლად სრული და უნაკლულო პიესების დამწერი ზეციდან არ ჩამოგვივარდება, არც შინერვასავით ბუმპუტერის თავიდან გამოძვრება ჩვენთვის. ყოველი პირველი ნაბიჯი, როგორც ყოველთვის, აქაც სუსტი იქნება ხოლმე და აი, აქ არის საჭირო ღირსეული და პირუთვნელი ხელმძღვანელი ახალგაზრდა დრამატურგისთვის, ხოლო ამისთანა ხელმძღვანელობა ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ და მისმა გამგეობამ უნდა იკისრონ, თუ უნდათ, რომ მართლა არსებობდეს და არა ქაღალდზე მხოლოდ. მადლობა ღმერთს, ამას არც მატერიალური საშუალების უქონლობა შეუშლის ხელს, რადგან საკმაოა მხოლოდ სურვილი, საქმის სიყვარული და დაუზარებელი შრომა და თუ ესენიც არ მოეპოვება ჩვენ დრამატიულს საზოგადოების წევრებს. მაშინ ან კი რაღასთვის არსებობს ეს საზოგადოება?..

დუტუ-მეგრელი.

არ ამოვიდეს სხვა უბრალო ყლორტები, რომლებიც ნამყენს ართმევენ წვენს და უშლიან გაზრდას. კვირტით ნამყენებს-კი ჰილობი უნდა შემოვაცალოთ სამი კვირის შემდეგ. თუ იმავე ზაფხულობით კვირტმა გამოიტანა ყლორტი, მაშინ უჯიში უნდა მოიჭრას ნამყენიდგან ერთ ვერშოკის სიმაღლეზედ, და ეს პატარა ყლორტი უნდა მიება ამ უბირს, რომ ნამყენი გასწორდეს როდესაც ყლორტი (ნამყენი), გაიზრდება ნახევარ არშინის სიმაღლეზედ და კიდევაც გათამამდება, მაშინ უჯიში უნდა მოიჭრას ზედ ნამყენზედ და მოჭრილი იარა გაეგლისოს საგლესით ან ლაფით

55. კითხვა საჭიროა, რომ ახალ ნამყენების ძირში მიეღგას ჭიგო?

მიგება. ძალიან საჭიროა, იმისთვის რომ 1) ქარი ვერას ავნებს ახალ ნამყენს, 2) ახალი ნამყენი გაიზრდება სწორეთ ლარივით.

56 კითხვა. რაღა ყურის-ვდება უნდება ნამყენებს შემდეგში.

ნამყენებს შუა უნდა გაითოხნოს ბალახი, აეჩვილოს მიწა, როდესაც მიწა მოინდომებს წყალს, უნდა მოირწყოს, როდესაც ნამყენები კარგათ გათამამდებიან დამსხვილდებიან როდესაც შეიქმნებიან წლისა ან ორი წლისა, მაშინ უნდა გადარგათ სხვაგან დანიშნულ ადგილას და მიეცეს ფორმა შნო, ე. ი. ყოველ წელიწადს გაისხლას. ხეხილების გასხვლაზედ დაწვრილებით მაქვს ნათხვამი ჩემ წიგნაკში, „მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზედ“

57. კითხვა. რა დროს უნდა გადირგას ხეხილები?

მიგება. ხეხილების გადარგვა შეიძლება გაზაფხულობით და შემოდგომით. ხეხილების გადარგვაზედ დაწვრილებითი შეიძლება გაიგოთ ჩემ მიერ შედგენილ და გამოცემულ წიგნაკში 1892 წ. „ხეხილების დარგვა და მისი მოვლა“.

არჩილ დარეჯანაშვილი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**ბათუმი.** 8 ივლისს, დილის 8 საათი იქნებოდა, ჯავშნიანი გემით „გიორგი ძლევა-მოსილი“-თ მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, მემკვიდრე ხელმწიფე მიხეილ ალექსანდრეს ძე, დიდნი მთავარნი ალექსი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული. ჯავშნიან გემს ახლდა შავი ზღვის ესკადრა. იმავე დროს მოვიდა საგანგებო მატარებელი ღვთივ განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის ცხედრით, რომელსაც ახლდნენ დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, თ ავარმართებელი თავ. გოლიცინი, ხელმწიფის ამალის წევრნი, იმპერატორის სასახლის სამინისტროს მოხელენი, სამღვდელოება. როცა მატარებელი გაჩერდა, პანაშვიდი იქმნა გარდახდილი. შემდეგ სამგლოვიარო პროცესია გაუდგა ნავთ სადგურისაკენ, სადაც გაჩერებული იყო ბარჟა კატაფალკით. როცა კუბო დასდგეს კატაფალკაზე, 8 საათ. 35 წ. ბარჟი გემისაკენ წავიდა. 9 საათ. 13 წ კუბო ცესარევიჩის ცხედრით გემზედ აიტანეს. პანაშვიდი დაიწყო ხელმწიფასი და უმაღლეს პირთა თანადასწრებით. 10 საათ. 15 წ. ჯავშნიანი გემი წყნარად წავიდა ნოვოროსიისაკენ. კუბოზედ მრავალი გვირგვინი იყო დალაგებული.

**ნოვოროსისკი.** მოვიდა სოხუმის ეპისკოპოსი არსენი ცესარევიჩის კუბოზედ პანაშვიდის გადასახდელად. საღამოს მოელიან ყუბანის ოლქის ატამანს გენერალ მალამას. მოვიდა ყაზახის ჯართა ეკატერინოდარის 1 ლ. ცხენოსან პოლკის 5 სოტნა, ეკატერინოდარისა და ანაპის სათადარიგო ქვეითა ჯარის ბატალიონები და ყუბანით პირველ ცხენოსანთ ბატარეია. ცესარევიჩის ცხედრის პატივსაცემლად დანარჩენ ჯარს შეუერთდება აგრეთვე ნოვოროსიისკში მყოფი მაიკოფის სათადარიგო ბათალიონის როტა. ნავთ-სადგურში ჩამოწყრივებული არიან აქ მოსული ნაღმიანი გემები, ნავი „დონეცი“ და მენაღმეთა რაზმი.

9 ივლისი.

**ბარცელონა.** საფრანგეთის ესკადრის მოსვლის გამო, ქალაქის საბჭომ გამართა გუშინ დღესასწაული ადმირალ ფურნიესა და საფრანგეთის აფიცრების პატივსაცემლად. დღესასწაულის გათავების შემდეგ, 800 კაცმა ნავთ სადგურამდე მიაცილა ადმირალი ფურნიე, შემდეგ ქუჩა-ქუჩა დადიოდა საფრანდეთის ბაირაღით და გაიძახოდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკასო!“ და მარსელიეზას მღეროდა. პოლიციამ განფანტა მანიფესტანტები.

**პარიზი.** გალიფემ ბრძანება გასცა გამოძიება დანიშნონ კაპიტან გოლო-დე-ვილონევის წინაალმდეგ, რომელმაც მილოცვის წერილი გაუგზავნა სიველონს იმ ზომების გამო, რომელიც ამას წინად მის წინააღმდეგ იყო ნახმარი. და იმდენი ფულებიც გაუგზავნა, რამდენიც ჯამაგირიდგან გამოურიცხეს მას.

# განცხადებანი


!!მიაქციეთ ყურადღება!!

## ჩინეთის მაღაზია

**დ. ფ. დემენტიევისა**

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

**იგემეთ ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად** და **პარტიობით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სალამაზო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნობათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—51)



სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



## ქეფირი და კუმისი




ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—44) ო. კორონა.



## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ**, **препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній**.

### Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяца

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи; 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.**

(100—46)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Іюля 1899 г. (ხელ. რედ. ფურც.) გ. ყიფშიძე), [illegible] ზ. [illegible]